სისხლში ალანინამინოტრანსფერაზას (ALT) აქტიურობას ვსწავლობდით სპექტროფოტომეტრიული მეთოდით. ამისათვის თავიდან ვიღებდით სისხლს, ვაცენტრიფუგირებდით (3000 გ, 15 წთ), რის შემდეგაც მიღებულ სისხლის შრატს (0.05 მლ) ვუმატებდით 0.25 მლ ALT-ს სტანდარტულ სუბსტრატს. ამის შემდეგ ვახდენდით ინკუბირებას 37°C ტემპერატურაზე 60 წთ-ის განმავლობაში, ვუმატებდით 0.25 მლ 2,4-დინიტროფენილჰიდრაზინის ხსნარს. მიღებულ სინჯს ვურევედით და ვტოვებდით 20 წთ-ის განმავლობაში 22°C ტემპერატურაზე. ამის შემდეგ ვუმატებდით 2.5 მლ NaOH-ის ხსნარს, ვტოვებდით 10 წთ-ის განმავლობაში და ოპტიკურ სიმკვრივეს ვზომავდით 530 ნმ ტალღის სიგრძეზე. ALT-ს კონცენტრაციას ვსაზღვრავდით სტანდარტული გრაფიკის საშუალებით.

მასალის სტატისტიკური დამუშავება

მასალა დამუშავდა სტატისტიკური პროგრამის Statistica 6.0 (Statsoft, Mineapolis, USA) გამოყენებით.

Primary conclusions submitted to the defence

- In the experimental model of mild hepatitis, administration of Plaferon LB accelerates regenerative processes in the affected liver.
- In the experimental model of Con-A-induced mild hepatitis, administration of Plaferon LB enhances levels of caspase-3 and -8 when liver recovers to its normal morpho-functional status.
- At various stages of the experiment, Plaferon LB has varied effects on plasma NO levels.
- In experimental mild hepatitis, administration of immunomodulators modulates levels of glutathione reductase in blood.

Approbation of the research work

The dissertation is approbated on the expanded session of Biomedicine and Biotechnologies divisions of the Institute of Medical Biotechnologies on 3 May, 2006. The dissertation is recommended for its public defence.

Key conclusions of the dissertation were reported to:

The 1st international conference on “Medical Rehabilitation and Ridetherapy”, Tbilisi, 20-24 June, 2006. The III international conference on “Modern problems in allergology, immunology and Medical Biotechnology”, Tbilisi, 24-26 September, 2006.

Publications: 6 papers have been published

Size and structure of dissertation:

The dissertation has 101 printed pages. It is divided in Introduction, Literature Review, Materials and methods, Own Research, Research Result Analysis, Conclusions, Practical Recommendations and References. It contains 1 table, 6 diagrams and 13 figures. The references section lists 185.

MATERIALS AND METHODS

The experiment involved 50 adult mice each weighing 20-25g. All of the mice were grown in similar conditions.

Experimental model of liver immune injury

Acute liver injury was induced by injecting Con A (Serva, USA) 2.5 mg/kg via the tail vein. 15 min after the injection the mice were divided into three groups: I group (15 mice) - 0.2 ml of saline solution; II group (15 mice) - 0.25 mg/kg of Plaferon LB; and III group (15 mice) - 4 mg/kg of dexamethasone. All these injections were intramuscular. After 8, 24, 48 hours following the administration of Con A, the mice were bled, euthanized with chloral hydrate anaesthesia, their abdomens opened by a midline incision, and sections from the liver were excised for histopathologic examination.

Morphological methods

To investigate under the light microscope, the experimental material (liver) was first fixed in 10% formaldehyde solution, then dehydrated in upscale concentrations of alcohol and finally embedded in parafin. 2-5 micrometre slices made on the rotation microtome were stained in H&E.

Analysis of Apoptosis in Liver by TUNEL technique

Hepatocyte apoptosis was analyzed by terminal deoxynucleotidyl transferase-mediated dUTP-biotin nick end-labeling (TUNEL) technique. All the steps were undertaken according to the instructions accompanying the kit. 5-micrometre slices fixed in parafin and cut via the rotation microtome were deparafinated and rehydrated. Then the material was incubated with protease K (100 mM of 20mg/ml and 50ml of EDTA) at 25 degrees by Celsius. All the slices were washed in distilled water and incubated again for 5 min. Next, TDT was added before the incubation in humid box with biotin-

selectively kill malignant cells in tumors, have the potential to provide a powerful tool for the treatment of liver disease.

Due to peculiarities associated with pathogenesis of acute viral hepatitis, several authors give preferences to drugs of immunotropic and antioxidant nature for the treatment of the disease (Schwarz, 1996; Zein et al., 1998; Metreveli, 1999; Pavliashvili, 1999). Considering this, we were interested to study immunomodulatory drugs such as Plaferon LB.

Plaferon LB was developed by Prof. Vladimer Bakhtashvili at the Institute of Medical Biotechnology. Together with the immunomodulatory effects, this drug exhibits anti-inflammatory, anti-ischemic and antioxidant qualities (Chikovani, 1997; Chavchanidze, 1999; Rukhadze, 1999; Gongadze, 2004). In various pathologies, it turned out to protect liver against metabolic and morphological changes (Pashalashvili, 1995; Pavliashvili, 1999; Rukhadze et al., 1998; Chikovani et al., 1999). Even more, Plaferon LB anti-apoptotic effects of has also been indicated elsewhere. The exact mechanisms of the drug hepatoprotective effects however remain to be studied.

Presently, various experimental models are employed in studies of liver immune injury mechanisms. Con-A-induced liver injury is identical to clinical liver injury (Tiegs et al., 1992), and it is widely used in studies of the disease pathogenesis and the search of new ways for treating hepatitis.

Considering all the above said, we saw it reasonable to study the role of apoptosis in the experimental model of Con-A-induced mild hepatitis, and the mechanism of influence that immunomodulatory drugs have on it.

Aim of the study

The aim of our research consisted in the study of the apoptotic changes and immunomodulatory effects on them in experimental mild hepatitis.

To achieve the goal, we set the following specific tasks:

1. Development of the Con-A induced experimental mild hepatitis model (identification of the optimal Concanavalin A dose range judging by changes in transaminase levels);
2. Investigation of effects of immunomodulators (Plaferon LB, dexamethasone) on plasma transaminase levels in Con-A induced experimental mild hepatitis;
3. Study of caspase-3 and caspase-8 activities and effects of the immunomodulators on them in Con-A induced experimental mild hepatitis;
4. Analysis of contribution of the immunomodulators to liver histological changes induced in Con-A induced experimental mild hepatitis;
5. Study of effects of the immunomodulators on oxidative processes in Con-A-induced experimental mild hepatitis (assessment of certain parameters of the oxidant/anti-oxidant system).

Novelty of the research

The present study showed first time that the mild form of hepatitis entails enhanced caspase-3 and -8-mediated apoptosis.

It has been found that the use of immunomodulators in Con-A-induced mild hepatitis prevents pathological aberrances in liver. At the same time Plaferon LB facilitates fast mitigation of alterations occurring in these tissues prior to treatment.

It has been shown first time that in mild hepatitis Plaferon LB increases levels of caspases -3 and -8 meaning that the drug augments removal of impaired cells through apoptosis. In this way, the cell disposal prevents the disease from turning chronic.

Practical significance of the research

The results of the present study indicated pro-apoptotic activities of Plaferon LB and clarified certain molecular mechanisms of its activities. The findings are expected to serve as a basis for its application in the treatment of acute viral hepatitis, as well as chronic liver infections.

მიღებული შედეგები და მათი განხილვა

ვირუსული ჰეპატიტები ჰეპატოლოგიის უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს. ფართო გავრცელების, მიმედ გართულებების, მაღალი ლეტალობისა და ქრონიზაციის გამო B და C ჰეპატიტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ. ყოველწლიურად B ჰეპატიტისგან 2 მლნ ადამიანი იღუპება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 10-20 წელიწადში ქრონიკული C ჰეპატიტით გამოწვეული ღვიძლის ციროზითა და ჰეპატოცელულარული კიბოთი დაავადებულთა რიცხვი დაახლოებით 60-68%-ით მოიმატებს.

ცნობილია, რომ ორივე – ჰეპატიტი B და C - ვირუსი ჰეპატოტროპულია, თუმცა ისინი პირდაპირი ციტოპათოლოგიით არ გამოირჩევა (Lok et al., 2001; Liang et al., 2000). ეპიდემიოლოგიური კვლევების მიხედვით, HCV ვირუსით ინფიცირებულების 80-85%-ში ვერ ხერხდება ვირუსის სრული ელიმინაცია, რაც შემდგომში ქრონიკული ჰეპატიტის განვითარებას უწყობს ხელს (Liang et al., 2000; Lauer et al., 2001). ჰეპატოციტების ლიზის ორგანიზმის იმუნური პასუხის სიძლიერეზე დაამოკიდებული. ამ მხრივ წამყვანი როლი ჰეპატოციტების აპოპტოზს ენიჭება. ღვიძლის მწვავე დაზიანებისას ჰეპატოციტების აპოპტოზის სიჭარბე ღვიძლის ფუნქციური უკმარისობისა და კომის საფუძველი ხდება (Gremion et al., 2004; Kountouras et al., 2003), მისი დეფიციტი კი ავთვისებიანი ტრანსფორმაციის, ვირუსული ლატენტური მიმდინარეობისა და აუტომუნური დაავადებების განვითარებას განაპირობებს (Solary et al., 1996). ინფიცირებული ჰეპატოციტების აპოპტოზის საშუალებით ორგანიზმი ვირუსული ინფექციის ბლოკირებასა და მისგან თავდაცვას ახერხებს. ვირუსული გენომი აკოდირებს ცილებს, რომლებიც აპოპტოზური პროცესის დათრგუნვას იწვევს და ამით თავს ადწვევს იმუნური პასუხისგან. ასე მაგალითად, HCV ვირუსის core პროტეინი აპოპტოზური პროცესის რეგულაციას ახდენს მისი გაძლიერების ან ინჰიბირების გზით.

ისეთი ფარმაკოლოგიური ნივთიერებების გამოვლენა, რომლებიც აპოპტოზის დათრგუნვას ან სტიმულაციას, აგრეთვე I ტიპის ციტოკინების პროდუქცია/აქტიურობას არეგულირებენ და/ან II ტიპის ციტოკინების მოქმედებას ასტიმულირებენ, ღვიძლის იმუნური დაზიანების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის პოტენციურ კანდიდატებს წარმოადგენენ (Okamoto et al., 1998; Hershkovitz et al., 1999; Okamoto, Kanda, 1999; Okamoto et al., 2000).

პლაფერონი ლბ ადამიანის პლაცენტიდან მიღებული პეპტიდების ნარევი. მისი ეფექტი HBV ინფექციის მქონე პაციენტების HBs ანტიგენით სტიმულირებელი ლიმფოციტების პროლიფერაციულ აქტიურობაზე დაავადების ფაზაზე დაამოკიდებული. დაავადების მწვავე ფაზაში იგი აღნიშნულ მანევრებელს თრგუნავს, ხოლო ქრონიკულ ფაზაში კი ზრდის. პლაფერონი ლბ გავლენას ახდენს ციტოკინების: ინტერლეიკინ-1-ის, ინტერფერონ გამას, სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი-ალფასა და ინტერლეიკინ-4-ის სინთეზზე (Chikovani et al., 1999). ყოველივე ზემოთთქმულმა გვაფიქრებინა, რომ პლაფერონი ლბ ღვიძლის მსუბუქი იმუნური დაზიანების შემთხვევაში ეფექტური უნდა ყოფილიყო.

კონკანავალინ A-თი (Con A) გამოწვეული ღვიძლის დაზიანება აუტომუნური ჰეპატიტის ფართოდ გავრცელებულ ექსპერიმენტულ მოდელს წარმოადგენს (Tiegs et al., 1992; Louis et al., 1997; Kato et al., 2001). კონკანავალინ A-ს ზემოქმედებით ღვიძლში CD4⁺ T ლიმფოციტები გროვდება და CD95L-ის ექსპრესია იზრდება, რომელიც, თავის მხრივ, ციტოტოქსიურობის განვითარებას განაპირობებს. გარდა ამისა, Con A-ინდუცირებული ჰეპატიტის განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ TH1/TH2 ტიპის ციტოკინები (Ksontini et al., 1998; Tiegs et al., 1997; Trautwein et al., 1998; Kimura et al., 1999).

ღვიძლის მსუბუქი დაზიანების დროს აპოპტოზის როლის შესასწავლად Con A-ინდუცირებული მსუბუქი ჰეპატიტის ექსპერიმენტული მოდელი გამოვიყენეთ. ამავდროულად შევისწავლეთ აპოპტოზის მიმდინარეობაზე პრეპარატების – პლაფერონი ლბ-ს და დექსამეტაზონის – გავლენა.

Con A-ს შეყვანიდან 1 სთ-ის შემდეგ თავგების კუნთში შეგვყავდა პლაფერონი ლბ, ფიზიოლოგიური ხსნარი ან დექსამეტაზონი. დაკვირვებას ვახდენდით ექსპერიმენტის 3 ვადაზე: ჰეპატიტის ინდუცირებიდან 8, 24 და 48 საათის შემდეგ. აღნიშნულ ვადებზე აღებულ მასალას (ღვიძლი, სისხლი) ბიოქიმიური, იმუნოჰისტოქიმიური და იმუნოლოგიური მეთოდებით ვიკვლევდით.

როგორც გამოკვლევის შედეგების ანალიზმა ცხადყო, დაკვირვების I ვადაზე (8 სთ) ALT-ს დონე საკონტროლო თავგების სისხლში მატულობს. რაც შეეხება დექსამეტაზონით და პლაფერონით ნამკურნალებ თავგებს, მათ სისხლში ALT-ს დონე ორივე შემთხვევაში ერთნაირია და იგი საკონტროლო ჯგუფის ცხოველების ანალოგიურ მონაცემთან შედარებით სტატისტიკურად სარწმუნოდ არ განსხვავდება.

დაკვირვების II ვადაზე (24 სთ) საკონტროლო და ნამკურნალები თავგების სისხლში ALT-ს დონე მატულობს I ვადის შესაბამის მონაცემებთან შედარებით და ამასთან ერთმანეთისგან სტატისტიკურად სარწმუნოდ არ განსხვავდება. დაკვირვების III ვადაზე (48 სთ) საკონტროლო თავგების სისხლში ALT-ს დონის მატების ტენდენცია შენარჩუნებულია, დექსამეტაზონით ნამკურნალებ თავგებში აღინიშნება კლების ტენდენცია, ხოლო პლაფერონი ლბ-ს ზემოქმედებით აღნიშნული მაჩვენებელი სტატისტიკურად სარწმუნოდ კლებულობს ($p < 0,01$).

აღნიშნულიდან გამომდინარე, პლაფერონი ლბ-ს სამკურნალო ეფექტი დექსამეტაზონთან შედარებით უფრო ძლიერადაა გამოხატული. აღნიშნული მონაცემები იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ დაკვირვების ბოლო ვადისათვის პლაფერონი ლბ ღვიძლის სტრუქტურის აღდგენით პროცესებს უნდა აჩქარებდეს.

ბიოქიმიური კვლევის შედეგები ღვიძლის მორფოლოგიურმა გამოკვლევამაც დაადასტურა. Con-A-ს ინექციიდან 8 სთ-ის შემდეგ თავგების ღვიძლში მწვავე ანთებისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური ცვლილებები აღინიშნება. ჰეპატოციტების დიდი ნაწილი ვაკუოლურ დისტროფიას განიცდის. ამასთან ერთად, ფოკალური ნეკროზის კერებიც გვხვდება. ნეკროზული ჰეპატოციტების ციტოპლაზმა მკვეთრად ეოზინოფილურია. ღვიძლის პარენქიმაში ლიმფოციტური რიგის უჯრედების ინფილტრატები გვხვდება. ინფილტრაცია განსაკუთრებით ინტენსიურია პორტულ სივრცეებში.

GENERAL CHARACTERISTICS OF THE STUDY

Importance of the subject

At the beginning of XXI century, despite remarkable advancements in medicine human viral hepatitis remains as a severe global problem. According to the World Health Organization (WHO), the number of people suffering from viral hepatitis is on the continuous rise and tops 1 billion. Furthermore, almost one third of the world population has been or is infected with various types of hepatitis. Every year up to 2 mln people die from this disease or complications associated with it.

In Georgia, in 2004 one thousand new cases of viral hepatitis B and C have been registered. 64% and 35% of the Hepatitis B cases fall on respectively acute and chronic forms. In case of Hepatitis C though, over a half of cases (app. 55%) present a chronic form. Even more, 5-7% of the population carries various hepatitis viruses.

Infection with hepatitis B and C poses two major threats for the human organism: first, in case of fulminant state (liver coma, fulminant liver), the disease has a high lethal outcome (90%); second, the process turns chronic and eventually ends in liver cirrhosis or hepatocellular carcinoma. In 80% of cases of infection with both Hepatitis B and D hepatitis becomes fulminant.


According to international leading hepatology centres, the risk of HBV infection becoming fulminant is seen in 80% of infection cases (Grob et al., 1998). As the data by the WHO indicate, potential of the disease chronization is fairly high. Around 2 mln people are estimated to have suffered from and another 350 mln is infected with B Hepatitis. Among those with chronic form, 25% turns into hepatocellular carcinoma (Alter et al., 1995). Today more than 1mln persons in the world die from hepatocellular carcinoma. One of the reasons for the chronic HBV infection persistence is the fact that 100% of hepatocytes become infected, and infected cells are not cleared off the liver.

Recovery from acute viral hepatitis is a very long tedious process. This is especially true for Hepatitis C with its most complicated course of development. Currently more than 300 mln worldwide suffer from Hepatitis C (Alter, 1995). Chronic HCV infection develops in up to 80% of cases and, of these, it progresses to cirrhosis in 50% of cases. What is more, some times chronic hepatitis escapes diagnosis and the disease shows up only in the cirrhosis stage. Hepatitis C patients quite often “enjoy” a false recovery evidenced by negative results of blood biochemical analyses (Scheuer et al., 1990). This phenomenon may last from few months to a number of years. This is why it is often compared to AIDS in terms of severity. Thus, effective treatment of viral hepatitis is of crucial importance.

Mechanisms of liver injury in autoimmune hepatitis and those caused by non-cytopathic viruses (HBV, HCV) are not fully studied. However, the role of T-cell mediated immune responses has been revealed recently (Ando et al., 1997). Massive elimination of infected hepatocytes by protective mechanisms of the body is what makes the illness so severe. Hence, an adequate immune response precludes virtually any chance of chronic hepatitis development. In contrast, weakness of an immune response allows mild, often asymptomatic acute phase of the disease, the state which in turn may lead to further chronization and even hepatocellular carcinoma or cirrhosis.

Quick and timely removal of the virus-infected cells via apoptosis is the key to maintenance of liver functionality. In a healthy organism, dead cells are swiftly replaced with mitotically derived new cells. This way cellular homeostasis is constantly maintained in organs. In the pathologies however, proliferation versus elimination balance is often altered and causes the onset of the liver disease. In acute injury, excessive and/or constant apoptosis can lead to liver function and reperfusion disorders. Excessive apoptosis may cause acute and chronic viral hepatitis, alcoholic and non-alcoholic hepatitis, cholestatic liver disease, Wilson’s disease, and graft versus host disease (GVHD). In contrast, insufficient apoptosis, with failure of removal of cells carrying mutated genes, and unregulated proliferation within the context of a persistent inflammatory milieu, can promote the development of liver and biliary cancer. Therefore, therapeutic strategies to inhibit apoptosis in liver injury, or

დიაგრამა 5 შრატში გლუტათიონ რედუქტაზას აქტიურობა ექსპ. მსუბუქი ჰეპატიტის დროს
Diagram 5 Activity of glutathione reductase in serum at experimental mild hepatitis



დექსამეტაზონის ზემოქმედების შედეგად ექსპერიმენტის დაწყებიდან მე-8 საათზე ჰეპატოციტების დიდი ნაწილი ვაკუოლურ დისტროფიას განიცდის, თუმცა წილაკების ძირითადი ტრაბეკულური სტრუქტურა შენარჩუნებულია. პორტული სივრცეების ლიმფოიდური ინფილტრაცია უმნიშვნელოა. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში ერთორციტების კონტურები შენახულია. ექსპერიმენტის ამ ვადაზე Con-A-სთან ერთად პლაფერონი ლბ-ს შეყვანის შემთხვევაშიც ჰეპატოციტების დიდი უმრავლესობა ვაკუოლურ დისტროფიას განიცდის. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ წილაკის ტრაბეკულური შენება შენარჩუნებულია. ასევე იშვიათი და უმნიშვნელოა ლიმფოიდური ინფილტრაციის უბნები.


Con-A-ს შეყვანიდან 24 სთ-ის შემდეგ საკონტროლო ჯგუფის ცხოველთა ღვიძლში ცვლილებები კვლავ ინტენსიურადაა გამოხატული. ჰეპატოციტების უმეტესობა ვაკუოლურ დისტროფიასა და ნეკროზულ ცვლილებებს განიცდის. დექსამეტაზონის ფონზე მნიშვნელოვნად მატულობს ორბირთვიანი ჰეპატოციტების რაოდენობა. ამავე დროს, აღინიშნება დესტრუქციული ცვლილებების გადრმავება. პლაფერონი ლბ-ს გავლენით ჰეპატოციტების უმრავლესობა კვლავ დისტროფიულ ცვლილებებს განიცდის, მაგრამ ნეკროზული უბნები არ არის.

ექსპერიმენტის დაწყებიდან 48 სთ-ის შემდეგ საკონტროლო ჯგუფში ზოგიერთ არეში ღვიძლის ნორმალური ტრაბეკულური სტრუქტურა ვლინდება, რაც რეგენერაციული პროცესების გააქტიურებაზე მიუთითებს. ამავე ვადაზე ზოგიერთი ნორმალური ჰეპატოციტიც ჩნდება. დექსამეტაზონით მკურნალობის შემთხვევაში აღნიშნული სურათიდან მნიშვნელოვანი განსხვავება არ აღინიშნება. პლაფერონის გავლენით წილაკის ნორმული შენება ძირითადად აღდგენილია. ნეკროზული უბნები და ლიმფოიდური ინფილტრატები საერთოდ აღარ შეინიშნება.

ამგვარად, Con-A ინდუცირებული ჰეპატიტის დროს პლაფერონი ლბ და დექსამეტაზონი ღვიძლის ქსოვილს ღრმა დესტრუქციული ცვლილებების განვითარებისაგან იცავს. აღსანიშნავია ასევე, რომ პლაფერონი ლბ ქსოვილის სტრუქტურის აღდგენას აჩქარებს, რაც დექსამეტაზონის გამოყენების შემთხვევაში არ შეინიშნება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორივე მედიკამენტი - პლაფერონი ლბ და დექსამეტაზონი - ღვიძლის ქსოვილს იმუნური დაზიანებისაგან იცავს. ცნობილია, რომ კორტიკოსტეროიდები აღნიშნულ ეფექტს ციტოკინების (ილ-1, ილ-2, ილ-6, გამა ინტერფერონისა და სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი ალფას) გენების ექსპრესიის დათრგუნვის გზით ახორციელებენ. სავარაუდოა, რომ პლაფერონი ლბ-ს ეფექტიც მის მიერ ციტოკინების ბალანსის შეცვლით უნდა იყოს გამოწვეული (ჩიქოვანი, 1997; Khesturiani et al., 1997), აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმუნომამოღულირებელი მოქმედების გარდა, პლაფერონი ლბ-ს გამოხატული ანტიოქსიდაციური და ანტიაპოპტოზური თვისებებიც აქვს. წინა კვლევებში ნაჩვენებია იქნა პლაფერონი ლბ-ს ძლიერი ანტიაპოპტოზური თვისება მწვავე მძიმე ფორმის ჰეპატიტის მოდელში და კლინიკურ გამოცდებში. კერძოდ პლაფერონი ლბ აინჰიბირებს ჰეპატოციტების აპოპტოზს LPS-ით ინდუცირებულ მძიმე ჰეპატიტის ექსპერიმენტულ მოდელში. მეტრეველის მიერ ნაჩვენებია იქნა, რომ მსუბუქი და საშუალო სიმძიმის მქონე პაციენტებში პლაფერონი ლბ-ს გამოყენება სრულ გამოჯანმრთელებას ახდენდა 96,9%-ში. უფრო მეტიც იგი მნიშვნელოვნად ამცირებდა დაავადების ქრონიზაციის შესაძლებლობას და ხელს უწყობდა პროტექტორული იმუნიტეტის ჩამოყალიბებას (მეტრეველი, 1999). ამ და სხვა კვლევების საფუძველზე, ჩვენს მიერ შემოთავაზებული იქნა ჰიპოთეზა, რომ მსუბუქი ჰეპატიტების დროს პლაფერონის დამცველობითი თვისება მის პროაპოპტოზურ უნართან არის დაკავშირებული.

დიაგრამა 6 ჰეპატოციტების სონტანური სტიმულაციის ინდექსი MTT ტესტის საშუალებით
Diagram 6 Mitochondrial activity in experimental mild hepatitis by MTT assay



ცნობილია, რომ კასპაზების გააქტიურება აპოპტოზური პროცესის დამახასიათებელი ნიშანია. აპოკალური კასპაზების რეგულაცია შეიძლება გადაწყვეტი ფაქტორი იყოს ამ პროცესში. კასპაზა 8-ის თვითგააქტიურება იწვევს კასპაზა-3-ის პირდაპირ გააქტიურებასა და Bid-ის გახლეჩვას (Li et al., 1998).

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ღვიძლის იმუნოპათოლოგიის დროს ტრანსკრიფციული მექანიზმის ფუნქციური მდგომარეობა განსაზღვრავს იმას, თუ რომელი – კასპაზა-3-ის თუ ალტერნატიული – გზით წარიმართება აპოპტოზური პროცესები. Con-A-ინდუცირებული ჰეპატიტის დროს კასპაზა-3-ის აქტიურობის შესახებ მონაცემები წინააღმდეგობრივია. კერძოდ, ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, კასპაზა-3-ის აქტიურობა მნიშვნელოვნად იზრდება (Ding et al, 2004). ხოლო სხვა გამოკვლევის მიხედვით, ის არ ვლინდება (Kunstle et al, 1999).

აქედან გამომდინარე, კვლევის შემდეგ ეტაპზე ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა კასპაზა 3 და 8-ის აქტიურობა *in vivo* Con-A-ს შეყვანის შემდეგ და მასზე იმუნომოდულატორების, კერძოდ, პლაფერონი ლბ-სა და დექსამეტაზონის გავლენა. მიღებული შედეგების თანახმად, ექსპერიმენტის I ვადაზე საკონტროლო ჯგუფის თავებში Con-A-ს შეყვანა კასპაზა-3-ის აქტიურობის მკვეთრ მატებას განაპირობებს და ფაქტიურად ექსპერიმენტის მაქსიმუმს აღწევს. ამის შემდეგ იგი თანდათან კლებულობს, თუმცა 48 სთ-ისთვის ნორმას მაინც ვერ უბრუნდება (დიაგ. 2).


პლაფერონი ლბ-ს შეყვანა ექსპერიმენტის I და II ვადაზე კასპაზა 3-ის აქტიურობაზე არ მოქმედებს და აღნიშნული მაჩვენებელი სარწმუნოდ არ განსხვავდება საკონტროლო ჯგუფისგან. საკონტროლო ჯგუფთან შედარებით 48 სთ-ზე კასპაზა 3-ის აქტიურობა მნიშვნელოვნად მატულობს ($p<0,01$). მაშინ როცა, დექსამეტაზონის გამოყენება ექსპერიმენტის I ვადაზე თრგუნავს კასპაზა-3-ის აქტიურობას საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, ხოლო ექსპერიმენტის შემდეგ ვადაზე აღნიშნული მაჩვენებელი საკონტროლო ჯგუფის ანალოგიური მაჩვენებლებისაგან ადარ განსხვავდება.

კასპაზა 3-ის გარდა, შესწავლილი იქნა კასპაზა 8-ის აქტიურობაც. კასპაზა 8-ის აქტიურობის ცვლილებები კასპაზა 3-ის მსგავსი აღმოჩნდა. კერძოდ, Con-A-ს შეყვანიდან 8 საათის შემდეგ მისი აქტიურობის მკვეთრი მატება შეიმჩნევა. 24 და 48 სთ-ისთვის კი კასპაზა 8-ის მაჩვენებელი კლებულობს, თუმცა ნორმას მაინც ვერ უბრუნდება (დიაგ. 3).


პლაფერონი ლბ-ს გამოყენების შემთხვევაში ექსპერიმენტის I და II ვადაზე კასპაზა 8-ის აქტიურობა კიდევ უფრო იზრდება, თუმცა იგი სარწმუნოდ არ განსხვავდება საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებლისგან. 48 სთ-ზე კი საკვლევ ჯგუფთან შედარებით კასპაზა 8-ის აქტიურობა სტატისტიკურად სარწმუნოდ მატულობს ($p<0,01$). ჩვენს მიერ მიღებული შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ იმუნოსუპრესანტი დექსამეტაზონი კასპაზა 8-ის აქტიურობაზე გავლენას არ ახდენს. დექსამეტაზონის გავლენით კასპაზების ინჰიბირების ტენდენცია ვლინდება ექსპერიმენტის პირველ ვადაზე, თუმცა ის სტატისტიკურად სარწმუნოდ არ განსხვავდება ჯანმრთელი თავების ანალოგიური მაჩვენებლებისაგან (დიაგ. 3).

პლაფერონი ლბ კი პროაპოპტოზურ თვისებას ავლენს, რაც მსუბუქი ჰეპატიტის რეგენერაციის ფაზაში კასპაზა 3-ისა და კასპაზა 8-ის აქტიურობის მნიშვნელოვან მატებაში გამოიხატება.

დიაგრამა 3 კასპაზა-8-ის აქტიურობა Con-A-ინდუცირებული ჰეპატიტის დროს
Diagram 3 Changes of caspase-8 activity in Con-A-induced mild hepatitis




დიაგრამა 4 შრატში ნიტრიტ/ნიტრატის დონეების ცვლილებები Con-A-ინდუცირებულ ექსპ. მსუბუქ ჰეპატიტში
Diagram 4 Changes of serum nitrite/nitrate levels in Con-A induced experimental mild hepatitis




დიაგრამები / DIAGRAMS

დიაგრამა 1 ALT-ის ცვლილების ცვლილება Con-A ინდუცირებული მსუბუქი ჰეპატიტის დროს
Diagram 1 Change in ALT levels in Con-A-induced mild hepatitis



დიაგრამა 2 კასპაზა-3-ის აქტიურობა Con-A-ინდუცირებული ჰეპატიტის დროს
Diagram 2 Changes of caspase-3 activity in Con-A-induced mild hepatitis



დვიდში მიმდინარე აპოპტოზური პროცესების შესასწავლად დამატებით გამოყენებულ იქნა TUNEL-ის მეთოდი. მიღებული შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ ექსპერიმენტული მსუბუქი ჰეპატიტის მოდელში პლაფერონი ლბ-ს გამოყენება 48 სთ-ზე სარწმუნოდ ზრდის აპოპტოზური ჰეპატოციტების რაოდენობას, თუმცა იგი არ მოქმედებს ექსპერიმენტის სხვა ვადებზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იმუნომოდულატორი დექსამეტაზონი ასეთ ეფექტს არ ავლენს (ცხრილი 1).

უახლესი მონაცემებით Con-A-ს მცირე დოზების გამოყენებისას 48 საათზე ხდება ბუნებრივი T კილელების რაოდენობის აღდგენა, რომელიც აუცილებელია დვიდის ნორმალური რეგენერაციისთვის. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ პლაფერონი ლბ ხელს უწყობს დაზიანებული უჯრედების აპოპტოზური გზით მოცილებას და რთავს ისეთ მექანიზმებს, რომლებიც იმავდროულად ჰეპატოციტების პროლიფერაციას აძლიერებენ.

ცნობილია, რომ ჭარბ აპოპტოზს ადგილი აქვს მწვავე და ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტის, ალკოჰოლური და არაალკოჰოლური ჰეპატიტის, დვიდის ქოლესტატური დაავადების, ვილსონის დაავადებისა და “ტრანსპლანტანტი მასპინძლის წინააღმდეგ დაავადების” (GVHD) დროს. მეორე მხრივ, აპოპტოზის დევიციტი ასოცირებულია დვიდში და სანადვლე სისტემაში სიმსივნის განვითარებასა და პროგრესირებასთან. უფრო მეტიც, ინტერფერონის ანტივირუსული ეფექტი განპირობებულია აპოპტოზის გამოწვევით (Castelli et al, 1997).

ჩვენი კვლევის შედეგები გვაფიქრებინებს, რომ პლაფერონი ლბ-ს გამოყენება შესაძლებელია დვიდის სხვადასხვა ურთიერთსაწინააღმდეგო მექანიზმით მიმდინარე დაზიანების დროს. როგორცაა მწვავე ვირუსული ჰეპატიტი და სიმსივნეები. როგორც ჩანს, პლაფერონი ლბ აპოპტოზური პროცესის მოდულირებას დაავადების ფორმისა და სიმძიმის მიხედვით ახდენს. დვიდის მიმდინარე დაზიანების პირობებში ის ანტიაპოპტოზურ ეფექტს ავლენს (სჭოჭუა და თანაავტ., 2006), ხოლო სუსტი იმუნური პასუხით განპირობებული დვიდის დაზიანების შემთხვევაში კი – პროაპოპტოზურს.

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პლაფერონი ლბ აპოპტოზის პროცესის მოდულირებელია.

ვინაიდან იმუნური სისტემის ფუნქციონირება უჯრედთაშორისი კომუნიკაციებით განისაზღვრება, იგი ოქსიდაციური სტრესისადმი განსაკუთრებით მგრძობიარეა. უჯრედული კომპონენტების, უპირატესად, ცილების, ლიპიდებისა და დნმ-ის ენდოგენური ოქსიდაციური დაზიანება მრავალი ქრონიკული დაავადების პათოგენეზში მონაწილეობს. ზოგიერთი პათოლოგიური პროცესის, მათ შორის, ჰეპატიტების დროს, კავშირი დაქვეითებულ ანტიოქსიდაციურ სტატუსს, ოქსიდაციურ სტრესსა და ავადმყოფთა კლინიკურ მდგომარეობას შორის დადასტურებულია. თუმცა, რა როლს ასრულებს ოქსიდაციური სტრესი დაავადების განვითარებასა და მის პროგრესში, დღემდე უცნობია.

ცხრილი №1 აპოპტოზური ბირთვების რაოდენობრივი მაჩვენებლები თავების ჰეპატოციტებში Con-A-თი გამოწვეული ექსპერიმენტული მსუბუქი ჰეპატიტის დროს

საკვლევი ჯგუფები	ჯანმრთელი	კონკანაპალინ- A	კონკანაპალინ- A + პლბ	კონკანაპალინ- A + დექსამეტაზონი

8 საათი	54,23 ± 9,09	154,39±15,22	180,39±17,2	164,39±15,02
24 საათი	“ – “	76,41±12,12	82,34±11,15	86,14±9,11
48 საათი	“ – “	75,41±10,11	280,23± 15,21	84,12±9,10

სადისერტაციო თემის გარშემო ბაგოქმეხმეხეულ
სამეცნიერო შრომათა სია

1. N. Kikodze, M. Iobadze, T. Chikovani, G. Sirbiladze, N. Kukuladze, M. Jgenti. Protective effect of Plaferon Ib on Liver in case of some Pathologies. Proc.Georgian Acad.Sci. Biol. 2006, vol. 32, No2, 325-329.
2. G. Sirbiladze, N. Kikodze, M. Iobadze, M. Jgenti., I. Pantsulaia, T. Chikovani. Activities of Caspases in Experimental Mild Hepatitis and their Regulation by Immunomodulators. Bulletin of the Georgian Academy of Sciences 2006, vol.173, No2, 377-380.
3. G. Sirbiladze, N. Kikodze, T. Chikovani. Modulation of NO Synthesis by Plaferon Ib in Liver. Georgian Medical News 2006, Apr, (133):102-104.
3. S. Chochua, G. Sirbiladze, N. Kikodze, M. Iobadze, I. Pantsulaia, L. Sujashvili, T. Chikovani. Caspase-3 and Caspase-8 Activities in Experimental Endotoxemia and their Regulation by Immunomodulatory Drugs. Experimental and Clinical Medicine 2006, 4(29), 85-87.
5. G. Sirbiladze, S. Chochua, M. Iobadze, I. Pantsulaia, M. Jgenti, N. Kikodze, T. Chikovani. Regulation Activities of Caspases in Experimental Liver Injury by Immunomodulatory Drugs. Allergol & Immunol, 2006.
6. G. Sirbiladze, I. Pantsulaia, N. Kikodze, M. Iobadze, L. Sujashvili, T. Chikovani. Influence of Immunomodulatory Drugs on the Oxidative Stress Indicators in Experimental Mild Hepatitis. Proc. Georgian Acad. Sci. Biol., 2006, vol. 32, No. 4, 835-841.

ცნობილია, რომ ოქსიდაციური სტრესის მიმართ განსაკუთრებით მგრძობიარეა აპოპტოზის გამწევი ფერმენტები კასპაზები. ზოგადად მიღებულია, რომ მრავალ უჯრედში რეაქტიული ჟანგბადის სახეობების (ROS) მცირე კონცენტრაციები აპოპტოზის ინიციირებას იწვევს, მათი ზეჯარბი რაოდენობა კი - ნეკროზულ ცვლილებებს განაპირობებს. კომტიკული ცისტინები სხვადასხვა რედოქს პოტენციალით ხასიათდებიან, ამიტომ ოქსიდანტების მცირე დოზა ზოგიერთ ცილაში თოლის დაჟანგვას იწვევს, სხვა ცილებზე კი არ მოქმედებს.

ამრიგად, ოქსიდანტების მცირე კონცენტრაცია აპოპტოზის განვითარებას იმ რედოქს სტატუსის ცვლილებებით განაპირობებს, რომლებიც ხორციელდება ისეთი პროაპოპტოზური ფაქტორების გააქტივებით, როგორცაა JNK. იმავდროულად ხდება NF-kB-ის ინიზირება, ისე რომ არ იცვლება პროაპოპტოზური კასპაზების რედოქს სტატუსი. ოქსიდანტების მაღალი დონე უფრო მეტად ნეკროზის განვითარებას განაპირობებს. ისინი აინიზირებენ კასპაზებს, რომლებიც საჭიროა აპოპტოზის განსახორციელებლად, და განაპირობებენ უჯრედების ნეკროზულ დაღუპვას (Halliwell et al., 1990; Dypbukt et al., 1994). რედოქს სტატუსის ძლიერი ცვლილებები, რაც განპირობებულია H₂O₂-ის რაოდენობის მატებით და გლუტათიონის (GSH) შემცირებით პირველად კულტურაში ჰეპატოციტების ნეკროზს იწვევს. მაშინ, როცა ზომიერი რედოქს ცვლილებები არ ახდენს გავლენას აპოპტოზზე, მიუხედავად ამისა, ოქსიდანტებისა და GSH-ის ცვლილებები არეგულირებს TNF-ისა და Fas-ით განპირობებულ აპოპტოზს. უფრო მეტიც, ნახვენებია, რომ ხანგრძლივი ან ჭარბი ოქსიდაციური სტრესი კასპაზების აქტიურობის დათრგუნვასა და შესაბამისად აპოპტოზის ბლოკირებას ახდენს (Hampton et al., 1998).

იმის გასარკვევად, თუ რა კავშირია მსუბუქი ჰეპატიტის დროს ჰეპატოციტების აპოპტოზსა და რედოქს-პოტენციალის ცვლილებებს შორის, ამასთანავე, იმის დასადგენად, თუ რამდენადაა განპირობებული პლაფერონი ლბ-ს პროკასპაზური აქტიურობა მისი ანტიოქსიდაციური უნარით, ექსპერიმენტულ ცხოველთა სისხლში შევისწავლეთ აზოტის ოქსიდისა და გლუტათიონ რედუქტაზას დონეების ცვლილება, აგრეთვე ჰეპატოციტების მიტოქონდრიული აქტიურობა.

სხვადასხვა ორგანოში მიმდინარე მეტაბოლური დარღვევები საბოლოო ჯამში სისხლში განვითარებული ცვლილებებით აისახება, რის გამოც ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე მეტაბოლური პროცესების შესასწავლად სისხლი ყველაზე ხელსაყრელ ობიექტს წარმოადგენს. Con-A ინდუცირებული ჰეპატიტის დროს ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხოველთა სისხლში ოქსიდაციური სტრესისათვის დამახასიათებელი სურათი გამოავლინა.

ჩვენს მიერ მიღებული მონაცემების ანალიზმა ცხადყო, რომ Con-A-ს ინექციიდან 8 საათის შემდეგ ცხოველთა შრატში აზოტის ოქსიდის შემცველობა სტატისტიკურად სარწმუნოდ იმატებს და ექსპერიმენტის ბოლომდე ამავე დონეზე რჩება.

Con-A ინდუცირებული ჰეპატიტის დროს დექსამეტაზონის გამოყენება სისხლში აზოტის ოქსიდის რაოდენობაზე არ მოქმედებს. აქედან გამომდინარე, იგი ანტიოქსიდაციური უნარის შენარჩუნებას და ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის პროცესების შესუსტებას ვერ უზრუნველყოფს.

დასკვნები

1. სუსტი იმუნური პასუხით განპირობებული ჰეპატიტის დროს კასპაზებით გაშუალებული აპოპტოზის ინტენსივობა იზრდება.
2. Con-A ინდუცირებული მსუბუქი ჰეპატიტის დროს პლაფერონი ლბ-ს გამოყენება ღვიძლის ქსოვილის რეგენერაციის ფაზაში ჰეპატოციტებში კასპაზების (3 და 8) აქტიურობას აძლიერებს.
3. სუსტი იმუნური პასუხით განპირობებული ჰეპატიტის ექსპერიმენტულ მოდელში იმუნომოდულატორი პლაფერონი ლბ აძლიერებს ჰეპატოციტების აპოპტოზს და შესაბამისად იმუნური პასუხის ეფექტს, რითაც მცირდება პროცესის ქრონიზაციის შესაძლებლობა.
4. Con-A ინდუცირებული მსუბუქი ჰეპატიტის დროს პლაფერონი ლბ ღვიძლის ქსოვილის ნორმალური სტრუქტურის აღდგენას აჩქარებს.
5. Con-A ინდუცირებული მსუბუქი ჰეპატიტის დროს პლაფერონი ლბ სისხლში აზოტის ოქსიდის შემცველობას არეგულირებს: ღვიძლის მაქსიმალური დესტრუქციის ფაზაში მას სტატისტიკურად სარწმუნოდ აქვეითებს, ხოლო რეგენერაციის ფაზაში – ზრდის.
6. ღვიძლის მსუბუქი იმუნური დაზიანების ექსპერიმენტულ მოდელში პლაფერონი ლბ ოქსიდაციური სტრესის განვითარებას აფერხებს.
7. პლაფერონი ლბ-ს გავლენით ჰეპატოციტების აპოპტოზის გაძლიერება და ამავდროულად მათი პროლიფერაციული აქტიურობის მატება ღვიძლში რეგენერაციული პროცესების სტიმულაციას განაპირობებს.

პრაქტიკული რეკომენდაციები:

1. სუსტი იმუნური პასუხით მიმდინარე ინფექციების დროს (B და C ჰეპატიტის მსუბუქი ფორმები) სამკურნალოდ რეკომენდებულია პლაფერონი ლბ-ს ან პროაპოპტოზური თვისების მქონე სხვა იმუნომოდულატორის გამოყენება.
2. პლაფერონი ლბ-ს მოქმედების მექანიზმის უფრო ღრმად შესასწავლად მიზანშეწონილია პროანთებითი და ანთებისსაწინააღმდეგო ციტოკინების ბალანსზე მისი ზემოქმედების კვლევა Con-A ინდუცირებული ჰეპატიტისა და აუტოიმუნურ დაავადებათა სხვა ექსპერიმენტულ მოდელებში.
3. პლაფერონი ლბ-ში შემავალი იმუნომამოდიულირებელი პოტენციის მქონე ფრაქციის იდენტიფიკაცია მიზანშეწონილია Con-A ინდუცირებული ჰეპატიტის მოდელზე.

აღსანიშნავია, რომ პლაფერონი ლბ ექსპერიმენტის II ვადაზე აზოტის ოქსიდის კონცენტრაციას სტატისტიკურად სარწმუნოდ თრგუნავს ($p < 0,01$). ექსპერიმენტის მესამე ვადაზე კი პლაფერონი ლბ საპირისპირო ეფექტს ავლენს - სარწმუნოდ ზრდის აზოტის ოქსიდის რაოდენობას (დიაგრამა 4). ექსპერიმენტის ეს ვადა ღვიძლის ქსოვილის რეგენერაციის ფაზას ემთხვევა.

ცნობილია, რომ აზოტის ოქსიდი აპოპტოზური პროცესის რეგულაციაში მონაწილეობს. იგი ავლენს როგორც ანტი-, ასევე პროაპოპტოზურ მოქმედებას. მისი ანტიაპოპტოზური მოქმედება ხორციელდება ორი ძირითადი მექანიზმით: cGMP-დამოკიდებული და cGMP-დამოუკიდებელი. cGMP პროდუცირების სტიმულირებით NO იწვევს ხსნადი გუანილილციკლაზას აქტივაციას, რაც უჯრედებს შემდგომი აპოპტოზისაგან იცავს (Kim et al., 1997). ეს მექანიზმი ნაკლებადაა შესწავლილი. მეორე, cGMP-დამოუკიდებელი მექანიზმი, მოიცავს ლიპიდების ზეგანგვის ინჰიბირებას, პეროქსიდ რადიკალის ჩაჭურას, Bcl-2-ის გახლეჩვისა და ციტოქრომ C-ს გამოთავისუფლების შემცირებას (Kim et al., 1998) და ისეთი ცილების ინდუქციას, როგორებიცაა Hsp70 და Bcl-2 (Mosser et al., 1997; Genaro et al., 1995). გარდა ამისა, NO დამცველობით ეფექტს ავლენს ცილების S-ნიტროზილირებით. p50-ისა და p65-ის 62-ე ცისტეინის S-ნიტროზილირებით NO-ს ძალუძს NF-κB-ს აქტივაციის ინჰიბირება. NO-ს დონორები აინჰიბირებენ TNFα-ს მიერ NF-κB-ს აქტივაციას, რაც IκB-α-ს სტაბილიზაციითა და მისი გენის ექსპრესიის მატებით არის გამოწვეული. კასპაზები ცისტეინის მაღალი შემცველობის გამო S-ნიტროზილირებისათვის იდეალურ სამიზნეებს წარმოადგენენ.

საინტერესოა NO-ს ზემოქმედება NF-κB-ს რეგულაციაზე და ანთებაზე. მართალია, მისი მოქმედების მექანიზმი ბოლომდე არ არის გარკვეული, თუმცა დადასტურებულია მისი როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური გავლენა აღნიშნული ტრანსკრიფციული ფაქტორის რეგულაციაზე. ეს მოქმედება დამოკიდებულია აზოტის ოქსიდის კონცენტრაციაზე, რედოქს სტატუსზე, სტიმულსა და უჯრედის ტიპზე (Kim et al., 1997).

eNOS-ისა და/ან nNOS-ის მიერ მცირე რაოდენობით ენდოგენურად წარმოებულ NO-ს შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს სხვადასხვა სტიმულის დროს NF-κB-ის აქტივაციის მოდულაციაში.

in vitro და *in vivo* პირობებში ნაჩვენებია იქნა, რომ iNOS აფერხებს TNF ან Fas-ით ინდუცირებულ აპოპტოზს (Bogdan et al., 2001). უფრო მეტიც, *in vivo* iNOS დეფიციტურ თაგვებში ინჰიბირდებოდა ღვიძლის რეგენერაცია. გარდა ამისა, ნაჩვენებია იქნა (Sass et al., 2001), რომ Con-A-ინდუცირებული ღვიძლის დაზიანების დროს ღვიძლის ქსოვილში არ წარმოიქმნება 3-ნიტროთიროზინი, აზოტის ოქსიდის მიერ ქსოვილის დაზიანების მარკერი. Sass და კოლეგებმა (2001) დაადგინეს, რომ ჰეპატოციტებში ინდუცირებული აზოტის ოქსიდის ექსპრესია განაპირობებს უჯრედების ნაწილობრივ დაცვას.

ჩვენს მიერ მიღებული შედეგების თანახმად პლაფერონი ლბ ახდენს აზოტის ოქსიდის რაოდენობის მოდულირებას. კერძოდ, 24 საათზე პრეპარატი ამცირებს მის რაოდენობას ($p < 0,01$) და ამით ხელს უშლის მისი დამანგრეველი მოქმედების გავრცელებას. შედგომში კი, 48 საათისთვის იგი ახდენს ინდუცირებულ აზოტის ოქსიდის რაოდენობის მატებას ზღვრულ დონემდე ($p < 0,01$), რითაც აჩქარებს პროლიფერაციულ პროცესებს.

რეაქტიული უანგბადის სახეობების (ROS) უჯრედშიდა კონცენტრაცია მკაცრად კონტროლდება დაცვის მრავალრიცხოვანი მექანიზმებით, მათ შორის, ROS-ის სკავენჯერი ფერმენტებისა და პატარა ანტიოქსიდანტი მოლეკულების მიერ. ამ ანტიოქსიდაციური სისტემებიდან აღსანიშნავია გლუტათიონი და ფერმენტები, რომლებიც ოქსიდაციური დაზიანებისაგან დამცავ ფაქტორებს წარმოადგენენ როგორც ცირკულაციაში, ისე სხვადასხვა ქსოვილში, მათ შორის, ღვიძლში (Schwabe et al., 2006).

გლუტათიონის საერთო უჯრედშიდა კონცენტრაცია მნიშვნელოვნად ცვალებადობს, განსაკუთრებით, ღვიძლში. ღვიძლის GSH შეიძლება დრამატულად შემცირდეს წამლის მეტაბოლიზმის შედეგად, ოქსიდაციური სტრესის შემდეგ ან GSH-ის სინთეზში თანდაყოლილი დეფექტების გამო; GSH-ის დაბალი კონცენტრაციები გამოვლენილია სეფსისის, აცეტამინოფენური ინტოქსიკაციის, ალკოჰოლის ქრონიკული მოხმარებისა და ვილსონის მწვავე დაავადების დროს. უფრო მეტიც, ღვიძლის GSH ცირკადულ ცვალებადობას განიცდის. ღვიძლის GSH-ის რაოდენობის ფარმაკოლოგიური გაზრდა ღვიძლს ნაკლებმგრძობიარეს ხდის და იცავს მრავალი პირდაპირი ჰეპატოტოქსინის ზემოქმედებისგან (Prescott, 1982). კვლევების მზარდი რაოდენობა მიუთითებს იმაზე, რომ GSH-ს უჯრედის დაზიანებაში ორმაგი როლი გააჩნია.

ნაჩვენებია, რომ უჯრედის სიკვდილის ზოგიერთ მოდელში, სადაც აპოპტოზი ძირითად მოვლენას წარმოადგენს, გლუტათიონის შემცირება დამცავ (ე.ი. ანტი-აპოპტოზურ) - და არა დამამძიმებელ – ეფექტს ქმნის. დღეისათვის ცნობილია, რომ მკაროფაგების NO-ინდუცირებული აპოპტოზი, T უჯრედების CD95-ით განპირობებული აპოპტოზი და ჰეპატოციტების ციტოკინ-გამოწვეული აპოპტოზი *in vivo* დამოკიდებულია შესაბამისი უჯრედების უჯრედშიდა გლუტათიონის კონცენტრაციების ცვლილებებზე (Hentze et al., 2000). წამოყენებული იყო ჰიპოთეზა, რომ აპოპტოზის განმასხვრციელებელი კასპაზების რედოქს მგრძობიარობა პასუხისმგებელია გამოვლენილ დამცველობით ეფექტზე, რადგან GSH-ის კონცენტრაციები შემცირებული იყო. თუმცა, GSH-ის გაზრდილ უჯრედშიდა კონცენტრაციებს სხვადასხვა უჯრედულ ხაზში აპოპტოზის გაძლიერებაც შეუძლიათ (Uhlir et al., 1992). რაც შეეხება *in vivo* კვლევებს, გლუტათიონის (GSH) შემცირებით გამოწვეული დამცველობითი ეფექტი ნაჩვენებია ღვიძლის აპოპტოზური კასპაზ-დამოკიდებული დაზიანების მოდელში (Hentze et al., 1999).

კვლევის შემდეგ ეტაპზე მსუბუქი ჰეპატიტის ექსპერიმენტულ მოდელში შევისწავლეთ გლუტათიონ რედუქტაზას ცვლილება ცხოველთა შრატში. როგორც მიღებული შედეგების ანალიზმა ცხადყო, Con-A-ს ინექციიდან 8 სთ-ის შემდეგ გლუტათიონ რედუქტაზას აქტიურობა სტატისტიკურად სარწმუნოდ იმატებს ($p<0,01$), 24 სთ-სთვის იგი მცირდება, თუმცა საკონტროლო მანქნებელთან შედარებით ისევ მომატებულია. 48სთ-სთვის გლუტათიონ რედუქტაზას აქტიურობა ნორმას უბრუნდება.

პლაფერონი ლბ-ს შეყვანა სტატისტიკურად სარწმუნოდ ამცირებს საკვლევი ჯგუფთან შედარებით გლუტათიონ რედუქტაზას რაოდენობას ($p<0,01$). პლაფერონი ლბ მთელი ექსპერიმენტის განმავლობაში გლუტათიონ რედუქტაზას კონცენტრაციას გარკვეულ დონეზე ინარჩუნებს, მაგრამ ნორმულ მანქნებელამდე მის დაყვანას არ ახორციელებს (დიაგრამა 5), რაც მომატებული პროლიფერაციის პერიოდში საჭიროა მიტოქონდრიული ფუნქციის შესასრულებლად.

პლაფერონი ლბ-ს მსგავსად, დექსამეტაზონიც გლუტათიონ რედუქტაზას მაღალი აქტიურობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ Con-A-ს ინექციიდან 8 სთ-ის შემდეგ პლაფერონი ლბ-ს გავლენით გლუტათიონ რედუქტაზას აქტიურობა მნიშვნელოვნად მცირეა ვიდრე დექსამეტაზონის გამოყენების შემთხვევაში ($p<0,01$).

ჩვენ მიერ გამოვლენილი მონაცემები შეესაბამება სხვა კვლევის შედეგებს, რომლის მიხედვითაც, ციტოზსა და ჰეპატოციტულ კარცინომაში საკონტროლო ქსოვილთან შედარებით GR-ის აქტიურობა გაზრდილია (Czeczot et al., 2006). უჯრედის დონეზე GSH-ის ჰომეოსტაზი უზრუნველყოფილია ბიოსინთეზს, მოხმარებას, ოქსიდაციასა და ექსპორტს შორის ბალანსით. ჰომეოსტაზის დარღვევამ კი შეიძლება იმოქმედოს ღვიძლის უნარზე უზრუნველყოს ოქსიდაციური დაზიანებისგან დაცვა (Fernandez-Checa et al., 1997).

კვლევის ბოლო ეტაპზე მსუბუქი ჰეპატიტის ექსპერიმენტულ მოდელში შევისწავლეთ ჰეპატოციტების მიტოქონდრიული აქტიურობა MTT ტესტის საშუალებით. ინტაქტური თაგვების ჰეპატოციტების სონტანური სტიმულაციის ინდექსი (სი) $1,14\pm 0,2$ უდრიდა. Con A-თი გამოწვეული მსუბუქი ჰეპატიტის დროს 24 საათისათვის ეს მანქნებელი $1,5\pm 0,3$ -ის (საკონტროლო მანქნებელთან შედარებით $p<0,05$), ხოლო 48 საათისათვის კი – $1,16\pm 0,11$ -ის ტოლი იყო.

პლაფერონი ლბ-ს გავლენით Con A-ინდუცირებიდან 24 საათის შემდეგ მიღებული სიდიდე არ განსხვავდება საკვლევი ჯგუფის მანქნებლისგან, თუმცა 48 საათზე ის მატულობს ($2,06\pm 0,12$) და სტატისტიკურად სარწმუნოდ აღემატება ინტაქტური თაგვების ანალოგიურ მანქნებელს ($p<0,01$). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დექსამეტაზონის შემთხვევაში მიტოქონდრიული სუნთქვა დათრგუნულია 48 საათზე (დიაგრამა 6).

ამრიგად, მიღებული შედეგები იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ პლაფერონი ლბ მიტოქონდრიულ ფუნქციას აძლიერებს და ჰეპატოციტების პროლიფერაციას აჩქარებს, რითაც ღვიძლში რეგენერაციული პროცესების სტიმულირებას ახდენს.